

შპს სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღის“ ზონაში მოქმედი  
ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების  
შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ქ. ფოთი  
2017 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ფოთის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“).

ფოთის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300 744)სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG2(H.264-ISO/IEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T პარამეტრებით SD არხის გაფრცელების სიჩქარე უნდა იყოს არანაკლებ 2.15 მგბტ/წმ-ისა;

1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ფოთი, მშვიდობის N4

1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე

1.4 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL. სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 ფოთის ზონაში ღია ეთერით 1მგბტ/წმ-ით გაფრცელებისთვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 1000 ლარს დღგ-ს გარეშე

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
- დ) წინსწორებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვაფა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2017 წლის 01 თებერვლიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე-2018 წლის 01 თებერვლამდე

გერმანე სალია

შპს სამაუწყებლო კომპანია „შეცხრე ტალის დირექტორი

